საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია · № 287 · 1918 წ. კვირა ივლისის 21 · № 287

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

**სახჩერეში ორი დღის ბრძოლის შემდეგ გადმოაწვიეს გარეკეს: მოჰკლეს, დასჭრეს და დაატყვევეს 160 კაცი; ჩვენი მხრით ზარალი უმნიშვნელოა.—ეროვნულმა საბჭომ ნება დართო მთავრობას 200 მილ. მანეთის ბონები გამოუშვას საქართველოსა და სომხეთის პასუხის მგებლობით.—ციმბირსა და თურქისტანში არეულობაა.—დასავლეთის ფრონტზე გერმანელები კვლავ იმარჯვებენ.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ—1 მან., უკან—50 კაპ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15—2 ღირს 10 მან., 20—2 ღირს 15 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ქ. თავართქილაძესეული „ნადეჟდა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება სამი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ“, поч. ящ. 190.

**ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.**

ტელეფონი 12—29

**გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:**

**ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.**

**ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის“ რედაქციას.**

---

გულდათუთქული მამა სპირიდონ ბესარიონის ძე ჯორჯიკია მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ თვისი ძვირფასი და დაუვიწყარი შვილის

**ნიკოლოზ (კოლია) სპირიდონის ძე**

**ჯორჯიკიას**

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედარს წაასვენებენ ბორჯომიდან ზუგდიდის მაზრის სოფ. ნოჯიხევში, სადაც მოხდება დასაფლავება კვირას, ივლისის 21, სადამოთი. რიონის და ახალ-სენაკის სადგურებთან ცხედარი იქნება, 20 ამა თვეს, დილით ადრე მატარებლით № 6. 778

---

გულ დათუთქულნი შვილები: ექიმი თამარ სიმონის ასული აბაშიძისა, ნინო მოლჩანოვისა და ლევან, ძმები ირაკლი, ივანე და გიორგი ქაიხოსროს ძე დავითიშვილები თავიანთ ცოლშვილით, ძმისწული ბიჭინა ბაგრატის ძე დავითიშვილი, აცნობებს ნაცნობთ და ნათესავთ, რომ პარასკევს ივლისის 19-ს დილის 10 საათზე ხან-გრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**კნ. თეკლე ქაიხოსროს ასული**

**აბაშიძისა**

გამოსვენება კვირას დილის 10 საათზე არამიანცის საავადმყოფოდან, დაკრძალვა იმ დღესვე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 762

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მშობლები ვასილ და საშა, ძმები: სიმონ და ლევან, დები ნიმფადორა, თამარ აბაშიძეები და ეკატერინე კეთილაძისა და სიძე ალექსანდრე კეთილაძე, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფასის

**სონიას**

სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ორშაბათს ივლისის 22 ს ქ. ხონში, ქარჩხაბის მარცხოვრის ეკლესიაში დილის ათ საათზე. 767

---

**კავკავის ქართული სკოლისათვის**

**საჭიროა**

**სამი მასწავლებელი**

მასწავლებელს წლიური ჯამაგირი ექნება 3,600 მანეთი.

მსურველთ თხოვნა საჭირო დოკუმენტებით უნდა წარუდგინონ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობას ან კავკავის განყოფილების გამგეობას. Владикавказъ грузинская школа, въ правленіе. 1238

---

**განცხადება**

**თელავის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის**

საპედაგოგიო საბჭო ამით აცხადებს, რომ პირველ ენკენისთვიდან ამა 1918 წლისა სასწავლებელში თავისუფალია შემდეგი ადგილები: სასწავლებლის უფროსისა (ინსპექტორისა), ქართული ენის მასწავლებლისა უფროს კლასებში (V—VIII კლ.) რუსულისა უფროს კლასებში, ლათინურისა (კარგია ეს ორი საგანი ჰქონდეს ერთმა პირმა), ფრანგულისა, ფიზიკისა და საბუნებისმეტყველო საგნებისა უმცროს კლასებში. ჯამაგირი ზემოაღნიშნულ პირთ შეეცემათ ერთნაირად სხვა საშუალო სასწავლებლებთან. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს საპედაგოგიო საბჭოს სახელზე. უკანასკნელი ვადა თხოვნების მიღებისა მარიამობისთვის 20 ს (ახალი წელთ აღრიცხვით). 1240

---

**საქართველოს სოც.-ფედ. სარევოლუციო პარტიის**

**სენაკის კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ მოხდება წევრების ახალი რეგისტრაცია. ყოველი წევრი ვალდებულია მიიღოს პარტიული წიგნაკი სოც.-ფედ. კლუბში 5—6 საათამდე. 1239

---

**ხუთშაბათს, ივლისის 25 ს** **საზოგადოებრივ კლუბში** **თავისუფალი თეატრი.**

(მიხეილის პრ. № 66).

**მიხეილ კავსაძის**

მომღერალთა გუნდი გამართავს სამ განყოფილებიან

**სახალხო კონცერტს**

დაწვრილებით პროგრამებში და აფიშებში. ✦ დასაწყისი სრულ 8 საათ.

1245

გამგე ნიკო კავსაძე.

---



**დიდი ცირკი**

**ძმ. ეფიმოვებისა**

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—00.

1918 წ. დღეს ივლისის 21 ს გაიმართება

**დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა**

მონაწილეობენ სლასტუშინსკი, ბონ-ბონ და ბოდი, პ. ელიზაროვი, ვუდი და მაი და სხვ. დასაწყისი 8 ს. დასასრული 11 ს.

775 მთავარი გამგე: ბ. ელიზაროვი.

---

მეღვინეთა ამხანაგობა „იმერეთი“

**იმერული ღვინო**

**გაიხსნა ღვინის სავაჭრო სარდაფი**

**„იმერეთი“**

**მეღვინეთა ამხანაგობის**

მიხეილის პროსპ. № 39 (მთავარი ფოსტის კანტორის ახლოს).

ამხანაგობა მიაწოდებს საზოგადოებას საუკეთესო იმერულ ღვინოს. ამ დღეებში გაიხსნება აგრეთვე განყოფილებები, სხვა და სხვა უბანში, რაც გამოცხადდება თავის დროზე.

ფასები: № 2—3 მან., № 3—3 მ. 50 კაპ., № 4—4 მან., № 5—5 მ., № 6—6 მან.

მთავარი საწყობი ამხანაგობას აქვს ქ. ზესტაფონში.

765

„იმერეთი“ მეღვინეთა ამხანაგობა

---

**ღია ბარათი**

**ყველა კულტურულ და საკომერციო დაწესებულებას**

თქვენ მოგეხსენებათ, რომ ქართულ უნივერსიტეტისა და თეატრის სასარგებლოდ იმართება ხუთ მილიონიანი, მომგებიანი ლატარია.

ვსარგებლობთ შემთხვევით და აქვე აღვნიშნავთ, რომ ბილეთების დამზადება აქამომდე შეაფერხა ტეხნიკურმა დაბრკოლებებმა (ლიტოგრაფიის ხანგრძლივმა გაფიცვამ, შემდეგში ელექტრონის ენერგიის უქონლობამ და სხვ.)

ეხლა კი ყოველი დაბრკოლებანი ძლეულია და ლატარიის ბილეთები ამ მოკლე ხანში გამოვა გასაყიდად.

თვით ლატარიის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტად მიგვ ჩნია, რადგან ცხადზე უცხადესია, რომ ქართველი ერი მოინდომებს მისი მეცნიერებისა და ხელოვნების საქმე ნივთიერადაც გააძლიეროს, მხოლოდ ენერგიის მიყოლება უნდა საქმეს, რომ ეს დიდი თანხა, ხუთი მილიონი, შეგროვდეს.

ამისათვის, გთხოვთ, დროით გვაცნობოთ თუ რომელი დაწესებულება ლატარიის რამდენს ბილეთს დაიქვეთს, რომ ჩვენც დროით დავგზავნოთ საჭირო ბილეთები.

ლატარიის გამგეობის თავმჯდომარე გ. ლასხიშვილი.

წევრნი: შალვა დადიანი, სოლომონ აბესლომიანი, პეტრე ქავთარაძე.

მისამართი: ქ. ტფილისი, სასახლის ქუჩა, ქართული ქარვასლა ლატარიის დროებით კანტორაში. 1643

---

1918 წ. ივლისის 25 დან ქ. ტფილისში გამოდის მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით

**„საქართველოს რესპუბლიკა“**

გაზეთი ღირს 1 თვით 10 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 40 კ., სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. რედაქციისა და კანტორის მისამართი: ქ. ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.

---

**კრემი**

**„ანტუანეტ“**

პირისახისა და ხელებისათვის საუცხოვო, პარიზის კრემი, ასუფთავებს კანს, სპობს ლაქებს და ნაოჭს. იყიდება ყველა სააფთიაქო მაღაზიაში 755

---

**ტფილისი. 1918 წ. ივლისის 21.**

**კანონი ქვეშევრდომობისა.**

არც ერთს დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ შეუძლიან არსებობა, თუ ცხადად არ არის გამორკვეული მოქალაქეთა უფლება—ვალდებულებანი. მაგრამ არც უფლება-ვალდებულებაზე შეიძლება ლაპარაკი იმ დრომდე, სანამ სახელმწიფომ არ იცის, ვინ არის მისი მოქალაქე და ვინ-არ არის. ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ, საუბედუროდ, ის, რაც ცხადი და ნათელია ერთისთვის, სრულიად გაუგებარი გამხდარა მეორისთვის. ეს სრულიად უბრალო გარემოებით აიხსნება. არიან ჩვენში ისეთები, რომლებიც ფსიქოლოგიურად ვერ შეჰგუებიან საქართველოს დამოუკიდებლობას. მათის წარმოდგენით, ეს დამოუკიდებლობა გარდამავალი ფორმაა, რომელიც დღეს არა ხვალ ახალმა ფორმამ უნდა შესცვალოს. მეორეთათვის კი საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება გარდაუვალი აუცილებლობაა. ეს სხვა და სხვანაირი თვალსაზრისი ჰქმნის სხვა და სხვანაირ განწყობილებას თითქმ ს ყოველი ისეთი კანონისადმი, რომელსაც მიზნადა აქვს დასახული საქართველოს სახელმწიფოებრივობის განმტკიცება.

ასე დაემართა ქვეშევრდომობის კანონსაც. „კავკაზსკოე სლოვო“-ს ვერ წარმოუდგენია და ვერ გაუგია რად აჩქარდა საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულება ქვეშევრდომობის კანონის გამოცემას. აჩქარება კი ადვილად გასაგებია, თუ დამოუკიდებლობის თვალსაზრისზე დავსდგებით. „კავკაზსკოე სლოვო“ არ ჩქარობს, რადგანაც მისთვის როგორც ეს კანონი, ისე ყველაფერი ის, რაც დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად კეთდება, ნაადრევად მიაჩნია, რადგანაც ჰგონია, რომ „შესაძლებელია კვლავ მოჰხდეს ამიერკავკასიის გაერთიანება“ და, მაშასადამე, ყველაფერის გაკეთება ახლად მოგვიხდეს.

თუ ამნაირის თვალსაზრისით შევხედავთ საკითხს, არამც თუ ქვეშევრდომობის კანონი, არამედ საზოგადოდ არც ერთი ისეთი კანონი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრიობას ამტკიცებს, არ უნდა გამოიცეს.

მაგრამ საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობისა თვით ქართველებისთვის მაინც საბოლოოდ გადაწყვეტილია. ვისთან რანაირ კავშირს შეჰკრავს საქართველო მომავალში, ჩვენ არ ვიცით, რადგანაც წინასწარმეტყველობა არ გვინდა ვიკისროთ, მაგრამ დღეს ჩვენ მხოლოდ ერთი მორიგი საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი და ამ მორიგი საკითხის გადაწყვეტას საშინელის სისასტიკით მოვითხოვეთ ჩვენი მთავრობისაგან. ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება. საქართველოს გაერთიანება ამიერკავკასიის დანარჩენ რესპუბლიკებთან ოცნებაა იმ დრომდე, სანამ ნახევარი ამიერ-კავკასიისა, სახელდობრ, ადერბეიჯანი, ოსმალეთის ორიენტაციას ადგია. ოსმალეთმა ისეთი დიდი დაღი დაასვა საქართველოს დამოუკიდებლობასა და მის ეროვნულ თავმოყვარეობას, საქართველოს ჯერ კიდევ იმდენი ანგარიში აქვს გასასწორებელი ოსმალეთთან რომ მხოლოდ სომხის ბავშვ პოლიტიკოსებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ საქართველოს შეუძლიან კვლავ ამიერკავკასიის ძთლიანობას დაუბრუნდეს და კვლავ ოსმალეთის ემისარების ზედგავლენის ქვეშ ჩავარდეს, ჩვენი მორიგი დანიშნულებაა სრული განწმენდა ჩვენი ქვეყნისა ოსმალეთის ამ მახინჯი ნაშთისა.. ქართველი ხალხი, ქართველი პოლიტიკური აზროვნება ვერასოდეს ვეღარ შეურიგდება ისეთს კომბინაციას, რომელსაც შეუძლიან ოდნავ მაინც კვლავ ასწიოს თურქოფილური ადერბეიჯანის გავლენა საქართველოს საქმეებზე.

ასევე შეიძლება ითქვას რაიმე ენაძმე სომხებზედაც. ალარავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ სომხები ყოველთვის იყვნენ და არიან რუსოფილები და ანგლოფილები; არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ამიერკავკასიაც კი, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეული, სომხებისთვის მოკლებული იყო და ნიანგის ცრემლებსა ჰღვრიდნენ, როდესაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას აცხადებდნენ. ჩვენ ეხლაც არ ვიცით, როგორ მიმართულებას მიიღებს სომხის პოლიტიკური აზროვნება. ვიცით, რომ სომეხთა შორის არის ძალიან დიდი და ძლიერი მიმართულება, რომელსაც არა ჰ-ურს კავშირი გასწყვიტოს რუსეთსა და ინგლისთან თუ ეს ასეა, მაშინ რომელ ერთეულს შეუძლიან დაუკავშირდეს საქართველო ისე რომ იდეა მისი სახელმწიფოებრივობისა არ შეიბღალოს? არც სომხეთი და არც ადერბეიჯანი ამ მხრით საიმედონი არ არიან. მომავალში რა იქნება, არ ვიცით. თუ მომავალში განმტკიცდა სომხეთისა და ადერბეიჯანის დამოკიდებულება, თუ ერთში რუსოფილური ორიენტაცია მოისპო და მეორეში თურქოფილური, მაშინ იქნება დაიბადოს საკითხი კავშირისა და არა გაერთიანებისა. მაგრამ, სანამ ეს არ მომხდარა, ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს რაიმე გაერთიანებაზე ვილაპარაკოთ.

თუ ეს ასეა, მაშინ კანონების გამოცემის ანგარიშშიც არ უნდა მივიღოთ ის მოსაზრება, რომ ეხლანდე-

ლი კანონმდებლობა დროებითი ხასიათისაა და ხვალ შეიძლება საქართველოს რესპუბლიკას ნაცვლად ამიერკავკასიის ყოვლად მახინჯი, ერთხელ უკვე დასამარებული გაერთიანებული საკანონმდებლო ორგანო შესდგეს, ვსთქვათ, ამიერკავკასიის სეიმის მსგავსი რამ.

თუ ამნაირის თვალსაზრისით შევხედავთ ქვეშევრდომობის კანონს, მაშინ მისი გამოცემა არამც თუ ნაადრევი, დაგვიანებულიც კია. ეს კანონი რომ ადრე გამოსულიყო, მაშინ უფრო კარგად დავინახავდით ვინ არის ჩვენი მტერი და მოყვარე; მაშინ უფრო ადვილად ვაწარმოებდით სასტიკსა და დაუნდობელს ბრძოლას საქართველოს მტრების წინააღმდეგ.

ჩვენ ერთი რამ გვაშინებს მხოლოდ, ვაი თუ მთავრობამ სისუსტე გამოიჩინოს და ქვეშევრდომობის კანონი სათანადო სიმტკიცით ვერ გაატაროს ცხოვრებაში. თუ კანონი სასტიკად ასრულდა, ჩვენ სავსებით დაკმაყოფილებული ვიქნებით. საქართველოს მოქალაქეთ სრული მოქალაქობრივი თავისუფლება და თანასწორობა, უცხოხელებს, რომელნიც შეეცდებიან ჩვენი დამოკიდებულების პრესტიჟის დაცემას, სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა და დევნა,—აი ჩვენი მორიგი მიზანი.

# საჩხერის ამბები

**საჩხერიდან** მთავრობის თავმჯდომარეს დეპეშით შეატყობინეს: „ივლისის 17-ს გათენებისას ჩვენმა ჯარმა მთელ საჩხერის ფრონტზე შეტევა დაიწყო ს. ს. ჩიხის ივან-წმიდის, ყვირილის, ხეობის, ქვილნაულის, ურდულის და ციხე მოდიმნახეს მიმართულებით. როგორც გამოირკვა მტერსაც მაშინ დაეწყო შეტევა. მედგარი ბრძოლა 2 დღე და ღამე გაგრძელდა ჩვენი ენერგიულ შეტევის წყალობით მტერი დაიბნა- რასაც ხელი შეუწყო მოწინააღმდეგის მეთაურის ხარებოვის დაჭერამ. ხარებოვი გზაში მოკვდა. ტყვედ წამოიყვანეს რამდენიმე ათეული ოსი. ტყვეების სიტყვით მეამბოხეთა რიცხვი 1500 უდრის. მათ შეუერთდა 100 ქართლელი, ბოლშევიკთა ბრბოდან, და აგრეთვე ადგილობრივი ბრბო. მტრის ზარალი ტყვე, დაჭრილი და დახოცილი 160 კაცს უდრის. ჩვენი მხრით მოკლულია გურულ რაზმიდან რასა ესაძე, დაგვიჭრეს 5, მეთორმეტე პოლკიდან მოკლეს ილო უგუგაძე, [illegible] ოსი. სახლებიდან

მტრებმა რის წაღებაც შეიძლოთ ყველაფერი წაიღეს. წუხელ ავიღეთ ს. ჭალა. გურულთა რაზმის შტაბს უფროსი სალუქვაძე.“

# მთავრობაში.

სწავლა განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ სოხუმის, კოჯორის და სხვა ადგილების სახაზინო სანატორიუმები და საგარაკო ადგილები კვლავ მის გამგებლობაში გადასცეს.

**გზათა სამინისტროში.**

თანამდებობიდან განთავისუფლებული არიან თანახმად მათივე თხოვნისა მთავარ სახელოსნოების უფროსის თანაშემწე ლარიონოვ-პრიკაზჩიკოვი და საორთქლ-მავლო სახელოსნოების გამგე პრეებორისკი.

**კახეთის რკ. გზაზე:** გამგედ ინიშნება წივწივაძე (იგივე რჩება ამ გზის ექსპლოატაციის უფროსად), საგზაო ნაწილის უფროსად და უფროსის მოადგილედ ინჟ. ჭიჭინაძე, გზის პირველი უბნის უფროსად—ლეჟავა, მეორე უბნის—უტიშაევი, სამოძრაო ნაწილის უფროსად და ნავთლუღის დეპოს უფროსად—ტუსიშვილი, პირველი უბნის უფროსის თანაშემწედ ჭანქველიშვილი.

# უცხოეთი

**არეულობა რუსეთში.**

**ტაშკენტი** (მოსკოვის რადიო-სადგურიდან). სახალხო კომისარების მთავრობასთან არსებული კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველი კომისია ენერგიულ ზომებს იღებს არეულობის ჩასაქრობად. ბრძოლას არეულობის წინააღმდეგ სამხედრო სარევოლიუციო საბჭო მეთაურობს. საბჭოში შედიან კობიზევი, ზვონოშინი, ბლაგონრავოვი, დანილევსკი, რასკოლნიკოვი, ლატიგი და მთავარ-სარდალი ვოცენსი. აჯანყებულთა ცენტრებია ომსკი, ტროიცკი, ჩელიაბინსკი, უფა, სამარა, სიზრანი, ორენბურგი. ე. ი. ციმბირის მაგისტრალი და ტაშკენტის ნაწილი.

დღეს და ხვალ ვრჩები მოსკოვში, შემდეგ ყაზანში დავბრუნდები, ჩვენს შტაბში.

გზათა სახალხო კომისარი კობიზევი.

**უკრაინაში.**

უკრაინის მთავრობა კიევში აარსებს უმაღლეს პედაგოგიურ კურსებს, რომლებზედაც უნდა მოამზადონ გაეროვნებულ საშუალო სასწავლებლებისათვის მასწავლებლები.

—

ხარკოვის და კიევის უნივერსიტეტების უკრაინიზაცია უკვე მოხდა.

# ომის დეპეშები

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი.** ივლისის 19. საომარი ცნობა.

**კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი:** საომარი მოქმედება საღამოთი გაცხოველდა, ზვერვის დროს ჩვენ ტყვეები ჩავიგდეთ ხელში.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი:** ენსა და მარნას შუა კიდევ გაჩაღდა ბრძოლა. აქ ფრანგებმა შეტევა დაიწყეს. ჯავშნოსნების დახმარებით ფრანგები შეიჭრნენ ჩვენი ქვეითა ჯარის და არტილერიის პოზიციებში და უკან დაგვახევინეს. ხოლო ჩვენმა საპოზიციო დივიზიებმა სათადარიგო ნაწილების დახმარებით შეაჩერეს მტერი. შუადღისას ფრანგებმა იერიში მიიტანეს სუასონ-შეილის სამხრეთ-დასავლეთით და შატო-ტიერის ჩრდილო-დასავლეთით, მაგრამ ამაოდ. მტერი დამითაც დამარცხდა, საჰაერო ბრძოლაში ჩვენმა მფრინავებმა მტრის 32 აეროპლანი ჩამოაგდეს.

მარნას სამხრეთ ფრონტზე ფრანგებს 17 ივნისის დამარცხების შემდეგ მხოლოდ ნაწილობრივი იერიშები მოაქვთ. მარეილის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის ყველა იერიში მოვიგერიეთ. მარნასა და რეიმსს შუა და რეიმსის აღმოსავლეთით ადგილობრივი ხასიათის ბრძოლაა. სამეფო ტყესთან და კურსის ორსავე მხარეს მტრის იერიში უნაყოფოდ ჩატარდა. პასხენდეილის ჩრდილო-დასავლეთით და სიუიპსან და პესტის ორსავე ნაპირით ჩვენ ტყვეები ვიგდეთ ხელთ. 15 ივნისიდან ჩვენ 20,000 კაცი დავატყვევეთ.

**პარიზი.** ივლისის 19. გუშინ დილით ენსა და მარნას შუა ბრძოლა დაიწყო და მთელი დღე გაგრძელდა. გერმანელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ და ცდილობდნენ გამარჯვებული ფრანგები შეეჩერებინათ. მიუხედავად მტრის ცდისა, ფრანგებმა განაგრძეს წინსვლა. მარცხენა ფრთით ფრანგები გამაგრებული არიან ზეგანზე სუასანის სამხრეთ-დასავლეთით და შოდუნის რაიონში მარჯვენა ფრთით სასტიკი ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა აიღეს პლატო მონის ჩრდილო-დასავლეთით და კურშამპის ჩრდილოეთით და ტორსის იქითა ნაპირს მიიწიეს. დღემდე ფრანგებმა დაატყვევეს 17000 კაცი; მათში 2 პოლკოვნიკი და შტაბის უფროსი. ფრანგებმა ხელთ იგდეს 360 ზარბაზანი.

**პალესტინის ფრონტი.**

**სტამბოლი.** ივლისის 19. უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლა იყო და მცირეოდენი შეტაკება პატრულებისა. ფრონტზე სხვა მხრივ სიწყნარეა.

# სადგილ-მამულო რეფორმა.

ქალაქის მიდამოების ადგილ-მამულის მიმღები კომისია შეუდგება მიწების ჩაბარებას 22 ივლისიდან საბურთალოს რაიონში. ამ რაიონის მიწის მფლობელებს და დაინტერესებულ პირთ იწვევენ კანცელარიაში (საბურთალო, ჩახვილაძის სახლი, ეკლესიის მახლობლად) ცნობების მისაწოდებლად მათი მიწების რაოდენობის შესახებ.

# ნიკო ჯორჯიკია.

ბორჯომის სანატორიუმში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ნიჭიერი, ახალგაზრდა ლინგვისტი ნიკო ჯორჯიკია. 26 წლისა იყო. დაასრულა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ძლიერი სურვილი ჰქონდა პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტში მიეღო სწავლა, მაგრამ ავადმყოფობა პეტროგრადში ერთი დღით ყოფნის ნებასაც კი არ აძლევდა. ჯერ კიდევ რეალურ სასწავლებლის მეექვსე კლასში იყო, რომ შეუდგა პროფესორ ი მარის გამოკვლევათა შესწავლას და ქუთაისურ გაზეთებში მოათავსა კიდევაც რამდენიმე მეცნიერული შინაარსის წერილი, რომელთაც მიიქციეს მარის ყურადღება. უკანასკნელს არა ერთხელ უთქვამს: ნიკო ჯორჯიკია ნიჭიერი ყმაწვილიაო და ხელმძღვანელობას უწევდა კიდევაც მიწერ-მოწერის საშუალებით მისი ნაშრომის შესწავლის საქმეში.

გარდა ამისა 1911—13 წლებში ხელოვნების დარგშიაც სწერდა წერილებს. თუმცა დიდს ავადმყოფობას განიცდიდა, მაგრამ შრომას მაინც ეწეოდა და კალამს ხელიდან არ აგდებდა. ბოლო ხანებში იგი პოლიტიკური ხასიათის წერილებსაც სწერდა: გამოსცა წიგნი ავტონომია და ფედერაცია. ულმობელმა სენმა ადრე მოუსწრაფა სიცოცხლე ამ ნიჭიერ ახალგაზრდას, რომლის სახით ქართველმა ერმა დაჰკარგა თავისი საუკეთესო, ნიჭიერი და ერის სამსხვერპლოზე [illegible] შვილი.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი ძვირფასო მეგობარო ნიკო!

ლ. განიძე.

# ახალი ამბავი

◆ **საქონლის გამცვლელი კომიტეტი.** ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგის გ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომელზედაც დაადგინეს პირველ რიგში გაიტანონ საზღვარგარეთ გასასყიდად: თამბაქო, მარგანეცი, ღვინო, სპილენძი, შალი, ხე ტყის მასალა, დაფნის ფოთოლი და თხილი. თათბირმა აუცილებლად სცნო რაც შეიძლება მალე დაარსდეს ტფილისში ვაჭრობა-მრეწველობის პალატა.

◆ **სავაჭრო მისიის გაგზავნა გერმანიაში.** მთავრობა გერმანიას აგზავნის სავაჭრო საქმეებისათვის მისიას, რომელიც გერმანიის მთავრობის დახმარებით მცხოვრებთათვის საჭირო საქონელს შეიძენს.

◆ **საგუბერნიო სასანიტარო კომიტეტი.** რადგან ტფილისის გუბერნიაში ხოლერა საშიშ ხასიათს ღებულობს, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით შესდგება საგუბერნიო სასანიტარო კომიტეტი.

◆ დღეს, დილის 11 საათზე, პეტროგრადის ქ. № 7, ექიმ შალამბერიძის ბინაზე დანიშნულია სამეგრელოს დამხმარე კომიტეტის კრება.

◆ **სავალდებულო დადგენილება ქალ. ტფილისისთვის,** შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ ნებადაურთველად აკრძალულია ბირჟაზე მუშაობა კერძო ავტომობილებისა რომელნიც მოგზაურობენ როგორც ქალაქში, აგრეთვე ქალაქ გარეშე მდებარე ადგილებში. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი მიეცემიან პასუხისგებაში, თანახმად მოძრ. მოს. დაკისრებულ სასჯელთა კანონის 29 მუხლისა, დროებით მთავრობის დადგენილების რედაქციით 1917 წ. მარტის 17 თარიღით, ხელს აწერს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი მახარაძე.

◆ **ახალი ბონები.** საქართველოს რესპუბლიკასა და სომხების მთავრობას შორის მოხდა შეთანხმება ბონების გამოცემის საკითხზე. როგორც ჩვენ გავიგეთ უნდა გამოვიდეს 200 მილიონის ბონები. აქედან 120 მილიონი საქართველოსთვის და 80 მილ. სომხეთისათვის—ადერბეიჯანის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა მ. ი. ჯაფაროვმა პროტესტი განაცხადა ისეთი ბონების გამოცემაზე, როგორც ამ დრომდის იყო, რადგანაც ეს ცუდ შედეგს მოუტანს ადერბეიჯანის მთავრობასო.

◆ **რუსების ერ. საბჭომ** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, საბჭოს წარმომადგენელს მიეცეს ერ[illegible] კომისიაში გზათა მიმოსვლისა და ფინანსთა სამინისტროებთან. შუამდგომლობა მიღებულ იქმნა.

◆ **ეროვნულ საბჭოს სხდომა.** პარასკევს ივლისის 19-ს, ეროვნულ საბჭოს სხდომაზე განიხილეს ჩვენი ფინანსების საკითხი. დღემდე უკვე გამოცემულ 300 მილიონის მან. ბონების პასუხისმგებელია სამი რესპუბლიკა—საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის. ხოლო ვიდრე საბოლოო შეთანხმება მოხდებოდეს ამ სამ რესპუბლიკებს შორის და პასუხისმგებლობის საკითხიც გადასწყდებოდეს, ამ 300 მილ. მ. პასუხისმგებლობის თავს იღებს საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკები. გამოიცემა კიდევ საქართველოს და სომხეთის პასუხისმგებლობით 300 მილიონ მან., რომელთაგან 80 მილ. მან. მიეცემა სომხეთის მთავრობას.

◆ **კონცერტი.** ხუთშაბათს, ივლისის 25-ს სახელოსნო კლუბში (მიხეილის პრ. № 60) მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდი გამართავს სამგანყოფილებიან სახალხო კონცერტს.

◆ **საქონლის გამცვლელმა კომიტეტმა** სააფთიაქო საქონლის შესაძენად და ამის შესახებ სტატისტიკურ ცნობების შესაკრებად მოიწვია ამიერკავკასიის აფთიაქის პატრონები საზოგადოება. ამ კომიტეტის სათათბიროში საზოგადოების წარმომადგენელს გ. ჯანელიძეს მთავრობა დიდ დახმარებას დაჰპირდა.

◆ **ტფილისში მყოფმა უკრაინის კომისარმა** მოუწოდა იმ ქართველ ახალგაზრდებს, რომელთაც უკრაინაში სწავლის მიღება სურთ, საქართველოს მთავრობის წინაშე იშუამდგომლონ ამის შესახებ.

◆ **გარნიზონის უფროსმა დააპატიმრა:** ცხენის მოპარვისათვის ჯარისკაცი ისიდორე გუმბერიძე; ბრძანების აუსრულებლობისათვის ჯარის კაცი ნ. ბოროზდინ. თამბაქოს მოპარვისათვის ვლ. ახიშევი.

◆ **ხოლერა** ქალ. საავადმყოფოში მოიყვანეს 22 ხოლერიანი და 5 საეჭვო ავადმყოფი. გარდაიცვალა 14 ავადმყოფი.

◆ **ხოლერასთან საბრძოლველად** გერმანიისა და ავსტრიის მისიებმა ქალ. სალაროში შეიტანეს ათას-ათასი მანეთი.

◆ **პური** უკანასკნელ დღეებში უამრავი ხორბალი შემოვიდა ტფილისში ახალი მოსავლისა. მიუხედა-

# აგრარული საკითხი საქართველოში

**პირველი ნაწილი**

2.

**ეროვნული კაპიტალიზმი.**

სოციალ-დემოკრატიამ წინანდელი დამოკიდებულება აგრარულ საკითხისადმი შესცვალა. პარტიას რომ ძველი პოზიცია შერჩენოდა, არ უკუეგდო სამრეწველო და საგრარო კაპიტალიზმის იგივეობის აზრი საჭიროც არ იქნებოდა საგანგებოდ სოფლის ცხოვრების თავისებურ მდგომარეობის აღმოჩენა, გარკვევა და კვლევა-ძიება; მაშინ საქმე აღარ გვექნებოდა სოც.-დემ. პარტიის წევრის—ფოლმარის ჰერცის, ბერნშტეინის და დავიდის თხზულებებთან გერმანიაში, რუსეთში ილინის წინააღმდეგ, (ლენინი), მასლოვი, ლიაშჩენკო და სხ. აღარ გაგვიმასპინძლდებოდნენ რევიზიონისტულ შეხედულებით.

ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ და შევისწავლოთ საზოგადოდ სოფლის მეურნეობაში არსებული კანონები. არსებობს კი ეს კანონები? თუ ასეთი კანონები არსებობენ—საჭიროა შესწავლა, რომ ის კანონები დავუკავშიროთ ჩვენს ცხოვრებასაც, ვინაიდან მიზეზობრივ მოვლენებს საჭიროა შევეგუოთ და შევუთანხმდეთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება საქართველოს აგრარულ წყობილების შესწავლა და საზრიანი აგრარული პოლიტიკის წარმოება.

აგრარული საკითხი განვმარტეთ როგორც კომპლექსი სოფლის ცხოვრების რთული ურთიერთობისა. მაშასადამე სოფლის მეურნეობის მამოძრავებელი ძალები მთელ კომპლექსის ანალიზით უნდა შევასრულოთ და არა იმ ელემენტების, თვითეულ დარგის მიხედვით, რომელიც შედის აგრარულ საკითხში როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. მეურნეობის დარგები, საშუალებანი და იარაღები, ფორმა მფლობელობისა და მიწის სარგებლობისა ცვალებადობის და მოძრაობის კანონებს ემორჩილებიან, მაგრამ თვით ეს მოძრაობა კი ხდება საზოგადოებრივ შრომის და ნაწარმოების განაწილების პირობათა მიხედვით; ესე იგი წარმოება და გაცვლა გამოცვლა—აი სოფლის მეურნეობის ყოველ დარგის თუ ფორმის მაჩვენებელი ძალა და ჩვენი ყურადღებაც წარმოებას, გაცვლა-გამოცვლას, ბაზარს და იმ ფაქტორებს უნდა მივაქციოთ, რომელნიც მეურნეობის ამ საფუძველზე ახდენენ გადამჭრელ გავლენას.

შესამოცდაათე და მეოთხმოცე წლების მარქსიზმისათვის აგრარულ საკითხის ამნაირად დაყენება არც საჭირო იყო და მაშინდელ მარქსისტებს—მარქს, ენგელს, ლასალს, მამა ლიბკნეხტს, ბებელს და სხვებს არც კი დაუყენებიათ. კაპიტალისტურ მეურნეობის შინაარსი იმათვის გამორკვეული იყო და ისინიც სასოფლო მეურნეობის თვისებას და ხასიათს კი არ იძიებდნენ, არამედ მხოლოდ იმ ფორმებს გვიჩვენებდნენ, რომელნიც მრეწველობაში იყო თვალსაჩინო. ამნაირად პირველ დროის მარქსისტული აგრარული პროგრამა ემყარებოდა დოგმატიურ მარქსიზმს, განყენებულ თეორიას და ევოლიუციონურ-ისტორიული პრინციპი კი აგრარულ საკითხის სფეროში წარმოდგენილიც არ გახლდათ. საჭირო აღარ არის იმის ეხლა მოგონება თუ საკითხის ასე დაყენებამ რა ნაყოფი მოგვიტანა. საჭიროა მხოლოდ შემდეგის აღნუსხვა: დოგმატიურ მარქსიზმა ისეთი ტლანქი ფორმები დასახა სოფლის მეურნეობაში, ეს ფორმები და ცხოვრების სინამდვილე ისე ეწინააღმდეგებოდნენ ერთი მეორეს, რომ თვით მარქსის მოწაფენიც მალე დარწმუნდნენ, რომ მარქსისტული დოგმატიზმი აგრარულ საკითხში ყოვლად უვარგისია. ეს იწამა თვით ენგელსმა, ამას აღიარებს კაუცკიც და მთელი სკოლა რევიზიონიზმისა გერმანიაში. დოგმატიურ მარქსიზმის კრიტიკას ამ მხრივ აქ არ შევუდგებით. მოვიგონებთ მხოლოდ ლიაშჩენკოს მიერ საკითხის დაყენებას. ლიაშჩენკოს აზრით მარქსიზმის კრიტიკა აგრარულ წყობილების ფორმების ძიებით კი არ უნდა განვითარდეს, საინტერესოა არა იმ ტრუიზმების გამოაშკარავება, რომელიც მამულის და ფარმოების ერთ ხელში დაგროვებას ჰგულისხმობს, ან სოფლის მუშის გაზოგანოვებას, არამედ თვით იმ ფაქტის აღსარება, რომ სოფელი და სოფლის მეურნეობა კაპიტალიზაციის ბრჭყალებში მოექცა[5]). ლიაშჩენკოს კაპიტალური თხზულება რუსეთის მარქსისტულ მწერლობის უახლოეს ხანას ეკუთვნის, წიგნი მასლოვის პირველ ტომის შემდეგ არის გამოცემული, მაგრამ საკითხის ასე დაყენება მართალია ახალია კაუცკის და დავიდის მეთოდთან, მაგრამ საზოგადოდ, საერთოდ არხაულია, ვინაიდან აგრარულ საკითხს არსებითად კაპიტალიზაციის პრინციპის მიხედვით რიკარდოც ეხებოდა და კარლ როდბერტუს იაგეტოვიც. განა თვით მარქსის „კაპიტალის“ ყველა ტომი უმთავრესად კაპიტალიზაციის არსებობით არ იხილავს სოფლის მეურნეობა? დოგმატიურ მარქსიზმის კრიზისი კაპიტალიზაციის განყენებულად მიღებამ გამოიწვია და თუ ჩვენ დღესაც მხოლოდ კაპიტალიზაციის ძიებას შევუდგებით ყველა იმ შეცდომებს მივიღებთ, რომელიც დოგმატიურმა მარქსიზმა იწვნია, ხოლო სოფლის მეურნეობის ვერც მამოძრავებელ ძალებს გავიცნობთ და ვერც მის ფორმებს.

ფორმალურის თვალსაზრისითაც შეუძლებელია კაპიტალიზაციის პრინციპით განსაკუთრებით სარგებლობა, ვინაიდან ესეც ლია კარებში ბრძოლაა და სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის შეჭრას არავინ უარყოფს.

[5]) იხ. ლიაშჩენკო „რუსეთის აგრარ. ევოლიუციის მიმოხილვა“, ტ. I. გვ 11.

თანამედროვე სოფელი განიცდის და ძლიერადაც განიცდის კაპიტალიზმის გავლენას, სოფელიც ჩაჭრილია საერთო ალებ-მიცემობაში, ინდუსტრიისთან და თან მეტ მასალას ასაღებს და რკინის სალტეებით დაკავშირებულია ქალაქთან, რასაც ასე კარგად გვითვალისწინებს დასახელებული ლიაშჩენკო მაგრამ კითხვა ამაში [illegible]: რანაირ ურთიერთობას იწვევს სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმი, ინდუსტრიალური კაპიტალიზმი განირჩევა თუ არა აგრარულ, სოფლურ კაპიტალიზმისაგან, ესე იგი სოფელში კაპიტალიზაცია რა სახეს იღებს, რა ბრძოლას აჩაღებს, რა ინტერესებს ბადებს. ამნაირად, სადავოა არა კაპიტალიზაცია სოფლისა, არამედ სოფლის კაპიტალიზაციის ფორმები, მოვლენები, წესები. ეს ფორმები უეჭველად უნდა გამოვიძიოთ, რადგან აგრარული პოლიტიკაც ხელოვნურად ქმნის ფორმებს და თუ ხელოვნური ფორმა ბუნებრივ აუცილებელ ფორმას არ შეეგუა—აგრარული პოლიტიკაც მიზანს ვერ მიაღწევს. ამნაირად, ჩვენ უნდა გამოვიძიოთ პირობები, რომელნიც სოფლის კაპიტალიზაციას თავისებურ მდგომარეობაში აყენებენ და შევიმუშაოთ თვით სქემა ფორმებისა, რომელსაც გვაძლევს სოფლური კაპიტალიზმი.

კაპიტალიზმი სამეურნეო წყობილების ისეთი ფორმაა, რომელსაც, როგორც ყოველგვარ მოვლენას, უმახლობელესი დამოკიდებულება აქვს ადამიანის მოთხოვნილებებთან. ადამიანი არის მიზანი, საშუალება, სუბიექტი და ობიექტიც კაპიტალიზმისა. აშკარაა კაპიტალიზმი, ქალაქში იქნება თუ „განმარტოვებულ კუნძულზე“, სოფელში ყველგან ემორჩილება გარემოცულ საზოგადოებრივ და ბუნებრივ პირობათა გავლენას. მაგრამ საკითხიც იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქში გავლენის მომხდენი ფაქტორები ნაკლებია, ვიდრე მაგალითად სოფლად, ხოლო სოფლის ფაქტორები სხვა დალის არის ვიდრე ქალაქში და ეს ბუნებრივი ფაქტორები გადამჭრელ გავლენას ახდენენ სოფელში წარმოშობილ კაპიტალიზმზე და მას [illegible] ფორმას და შინაარს არ უცვლიან, სრულიად თავისებურ პროცესს იწვევენ და საზოგადოებრივი ძალთაგანწყობილებაც თავისებური ხდება.

დავასახელოთ ეს ფაქტორები და დავამტკიცოთ მისი გავლენა, აღვნუსხოთ შედეგი ასეთი გარემოებისა მიღებულ ნაყოფის, შექმნილ თავისებურ მდგომარეობის წარმოდგენით.

ა. პეშეხონოვი ამბობს ერთ თავის თხზულებაში: „აგრარული საკითხი ჩვენთვის უქმი ოცნების ნაყოფი, ან შემთხვევით აღძრულ სურვილის საგანი არ არის. ეს საკითხია, რომლითაც უნდა დავიცვათ სახალხო წარმოება და ეროვნული დამოუკიდებლობა“ [6]) აგრარულ საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება პოლიტიკურ-აგრარულ ვოლიუნტარიზმს შეიცავს, მაგრამ ძალიან დამახასიათებელია ეროვნულ მომენტის მოკონება სოფლის კაპიტალიზმის განხილვის დროს. როგორც ვიცით, ეს მომენტი სრულიად უცნობი იყო კ. მარქსისთვის. მარქსი ამბობდა: ერთ მხარეში განვითარებული კაპიტალიზმი მეორე ქვეყნის კაპიტალიზმის სახეს გვიჩვენებსო. რაიმე სპეციალურს, თავისებურ ეროვნულ განწყობილებაზე მარქსს არაფერი ქონდა ნათქვამი. მარქსი კიდევ უფრო შორს მიდიოდა, ეროვნულ კაპიტალიზმის სახეს არ სცნობდა და ყველგან, ყველაფერში ერთნაირ ფორმას ხედავდა. „ჩვენ იმ შეხედულებიდან გამოვდივართ—ამბობს მარქსი—რომ სოფლის მეურნეობა (земледелие)—სწორედ ისე, როგორც მანუფაქტურა—ემორჩილება კაპიტალისტურ წარმოების წესს“. [7])

[6]) იხ ა. პეშეხონოვი „სოფლის გასაჭირი მიწისა.“ გვ. 13.

[7]) კ. მარქსი—„კაპიტალი“ ტ. III, ნაწ. II, გვ. 153—154.

შემდეგ: „თუ კაპიტალისტური წარმოება გულისხმობს მუშის განთავისუფლებას საწარმოო პირობათაგან; მიწათმოქმედებით ეს გამოიხატება ხალხის მიწიდან განთავისუფლებაში“. ამნაირად მარქსისთვის კაპიტალიზმისათვის ერთი ნიადაგი არსებობდა—სამყარო, მსოფლიო, ხოლო კაპიტალიზმისათვის მის მიერ გამორკვეული ერთი, ნიველირისტული ფორმა: ქალაქშიაც და სოფელში, მსხვილ, საშუალო და წვრილ წარმოებაშიაც. სხვა საზღვარს, ან გეოგრაფიულს, ან ისტორიულს, ეროვნულს... მარქსი არ სცნობდა. მაშინაც, როდესაც მარქსი ერს, ეროვნებას ახსენებს, მას მხედველობაში ანტროპოლოგიური ერთეულიც არ აქვს და არც ერთ მათგანს არ ახასიათებს ამ სახელით, ამ ტერმინითაც ის კლასობრივ მოვლენას ეხება. ერთ ალაგას ის ნაციას კაპიტალისტებს უწოდებს—„კაპიტალისტების ნაციაო“. [8]) ამნაირად მარქსი ერსაც არ სცნობდა და უარყოფდა თვით ეროვნულ კაპიტალიზმის შესაძლებლობას და არსებას. ჩვენ ვიცით, რომ ქართულ მწერლობაში სოციალ-დემოკრატია ყოველთვის ებრძოდა ეროვნულ პრინციპს და არ შევცდები ვსთქვა, რომ ეროვნულ კაპიტალიზმის აზრს ეხლაც უარყოფს. ეს პრინციპი ჩვენ ძალიან საყურადღებოდ მიგვაჩნია, ვინაიდან ამ პრინციპის დამტკიცებით ორტოდოქსალურ მარქსიზმის დანგრევა გაადვილდება.

კ. მარქსის კრიტიკულ მოწაფეს—ფრ. ჰერცს ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია ერთიანი, უნივერსალური კაპიტალიზმის არსებობა და მას კაპიტალიზმი მხოლოდ ეროვნული ესმის, ჰერცისათვის შეუძლებელია ერთი აგრარული პროგრამა ყველა ქვეყნისათვის და ამიტომ აგრარულ საკითხს კი არ იკვლევს, არამედ აგრარულ საკითხებს, „აგრარულ პროგრამებს“. „კაპიტალიზმის ეროვნულ ხასიათს—

[8]) იხ. მარქსი—„კაპიტალი“, ტ. II, გვ. 31.

ვად ამისა ფასები მაინც დიდია. გუშინ ფუთი 13 თუმნად გაიყიდა (წინად 16 თუმანი იყო) ადგილობრივ კი ხორბალს ჰყიდულობდნენ 30—35 მანეთად ფუთს.

## სოფლად და ქალაქად

**დ. ჩოხატაური.**

◆ აღმოსავლეთ გურიაში კარგა ხანია სიმშილობაა, სიმინდი სანთლით საძებარი შეიქნა. თუ გახდი ბედნიერი და იშოვნე, ფუთში 100 მ. უნდა მისცე. ხალხი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება, არ იცის რა საშუალებას მიმართოს.

◆ წელს აქეთ მთელი მიწები დამუშავებულია; მოსავალს ჯერ-ჯერობით ძლიერ კარგი პირი უჩანს, თუ რაიმე ბუნების მოვლენამ არ გააფუჭა მგონი ორი წლის მოსავალ იც მოვიდეს.

◆ ამ დღეებში ჩოხატაურის რაიონმა მიიღო მთავრობისაგან ერთი ვაგონი ქერის, რომელიც მაშინვე განაწილებული იქმნა რაიონის ყველა საზოგადოებებზე.

◆ წელს ბაზარზე ძლიერ ცოტა პარკი შემოვიდა, როგორც ირკვევა ბევრს წახდენია. ჩოხატაურის რაიონში გასახმობად და შემდეგ გასასყიდად პარკს ღებულობს კოოპერატივთა სარაიონო კავშირი „მნათობი“. საჭიროა ყველამ აღნიშნულ კავშირს ჩააბაროს პარკი, საიდანაც ავანსად ეხლავე მიიღებს ნაწილ ფულს, ხოლო გაყიდვის შემდეგ მეორე ნაწილს და მოგებასაც.

◆ რადგან ჩოხატაური პოზიციებზე ძლიერ ახლო იყო, ამისათვის აქ იდგა სხვა და სხვა ჯარის ნაწილები. ისინი უმეტესად იდგნენ სასწავლებლის შენობებში, რომლებსაც დიდი ზარალი მიაყენეს, შეუკეთებლად ამ შენობებში მეცადინობის დაწყება შეუძლებელია საზოგადოებას კი მათი შეკეთება უსახსრობის გამო არ ძალუძს.

◆ ადგილობრივ ბაზარზე ყველაფერი მამასისხლად იყიდება, სანოვაგეს პირდაპირ ვერ მიეკარები, ფულის ფასი სავსებით დაცემულია. კარგი ხანი გადის მას შემდეგ რაც ხავთი, სანთელი, მარილი, ფართლეულობა და სხვა პირველ საჭიროების საგნები აღარ იშოვნება. ამას დაუმატეთ ხურდა ფულის ბაზრიდან გაქრობა და თქვენ აშკარად წარმოგიდგებათ მცხოვრებთა უმწეო მდგომარეობა. ვისაც კი შეხვდები ყველას ხუთთუმნიანები უჭირავს ხელში და დახურდავებას ვერ მოსწრებია. ხურდა ფული ყველას გადამალული აქვს.

◆ სახალხო სკოლების მასწავლებლებს უკვე სამი თვე შესრულდა ჯამაგირი არ მიუღიათ, ისინი უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებიან. ეხლანდელ მომენტში 200 მ. თვეში ჯერ რა ჯამაგირია და ისიც რა იქნება სამი თვის შემდეგ. საჭიროა ვისგანაც ჯერ არს ყურადღება მიექცეს ამ არა ნორმალურ მდგომარეობას.

◆ რადგან აღმოსავლეთი გურია ომის ასპარეზად იყო გადაქცეული, ამისათვის ჩოხატაური ტელეგრაფით შეუერთეს სურებს, ხიდისთავს, ნაგომარს და ბახვს. აღნიშ. სოფ. ჩოხატაურიდან გაყვანილია ტელეგრაფი და მუშაობაც უკვე სწარმოებს.

◆ ადგილობრივ კოოპერატივთა კავშირს „მნათობს“ აზრად აქვს დ. ჩოხატაურში გახსნას აფთიაქი, რისთვისაც მან უკვე აღძრა შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს. იგივე კავშირი აწყობს ჩოხატაურსა და საჯავახოს შუა ავტომობილის მიმოსვლას.

◆ ივლისის 9 (ახალი სტილით) დ. ჩოხატაურში მიწას მიაბარეს თვალსაჩინო წევრი სოც.-დემ. პარტიისა ადგილობრივი ორ კლასიანი სასწავლებლის გამგე სერაფიონ სპირიდონისძე რამიშვილი. დაკრძალვას აუარებელი ხალხი დაესწრო, იყვნენ დელეგატები სხვა და სხვა სოფლებიდან. ჩვენი პარტიის სახელით მოკლე და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სერგო ბოლქვაძემ

◆ ჩოხატაურის რაიონში ჯერ-ჯერობით საუცხოვო წესრიგია დაცული. არავითარ გამოსვლებს ადგილი არ აქვს. წესიერების დასაცავად ადგილობრივად შედგენილია გვარდიელთა რაზმი ვასილ შარაშიძის მეთაურობით.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში.

დღეს კვირას ივლისის 21-ს დილის 11 საათზე დანიშნულია ტფილისის კომიტეტის კრების გაგრძელება. კომიტეტის წევრებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ, ფრიად საშური და საჭირო საკითხებია განსახილველი და გადასაწყვეტი. კრება დანიშნულია პარტიის ბიუროში.

## ვლ. გუდიაშვილის სურათების და ნახატების გამოფენა

ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებას, როგორც ჩანს თან მოჰყვება ჩვენ ხელოვნების აღორძინება. რომ ხელოვნების სხვა დარგს არ შევეხო, ვიტყოდი მხოლოდ მხატვრობის შესახებ. მხატვრობის ხელოვნების ყველა დარგში დიდად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და აღსანიშნავია ის სასიამოვნო მოვლენა, რომ მხატვრობას ჩვენში ემჩნევა წინ მსვლელობა. უკვე არიან ჩვენში ახალგაზრდა მხატვრები, რომელნიც დიდი სიყვარულით არიან გამსჭვალული ხელოვნებისადმი. მხოლოდ ერთი გარემოება აბრკოლებს მხატვრობის საქმეს—სახელდობრ, საზოგადოების გულგრილობა. საჭიროა ყოველ მხატვრულ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება ჰქონდეს მიქცეული.

დიდი ყურადღების ღირსია ახალგაზრდა მხატვრის ვლ. გუდიაშვილის სურათების და ნახატების გამოფენა. ამ გამოფენიდან სჩანს რომ ახალგაზრდა მხატვარი სიყვარულით ეპყრობა მხატვრობას, მისწრაფის მისკენ და ცდილობს ყველა დაბრკოლებას შეებრძოლოს და სძლიოს იგი. ამ მოკლე წერილში მე მსურს მხატვრის ნაწარმოებს მხოლოდ მხატვრობის მხრივ შევეხო, რადგან მხატვრობაში უპირველეს ყოვლისა მხატვრობას უნდა ჰქონდეს მიქცეული ყურადღება.

ვლ. გუდიაშვილის ნაწარმოები შეიძლება ორ ნაწილად დავჰყოთ. სურათების ერთ ნაწილში მხატვარი სცდილობს თანამედროვე მხატვრობის მონაპოვარნი შეიგნოს და განამტკიცოს იგინი თავის მხატვრობაში. სურათების მეორე ნაწილი გვიჩვენებს უშუალოდ ბუნების ფორმის შეგნებას.

მხატვრის უმეტესი ნაწარმოები ეკუთვნის პირველ რიგს; აქ სჩანს მხატვრის ცდა თანამედროვე მხატვრული პრინციპების შეგნებისა, ეს მხატვრობაში რთული და ძნელი საქმეა, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი მხატვრული მიმართულება, ჩამოყალიბებული სხვა და სხვა პრინციპებში, არის მხოლოდ საშუალება ბუნების შეგნებისათვის, მხატვრობის უმთავრესი მიზანია ბუნების შეგნება შემოქმედების საშუალებით. რაც უფრო მეტი საშუალებანი აქვს მხატვარს მით უფრო უახლოვდება იგი ბუნების შეგნებას, მაგრამ თუ კი მხატვარი თავის მიზნად დაისახავს რომელიმე პრინციპს, მხატვრული მიმართულების გადმოცემას ბუნების საშუალებით, ის მხატვრობის პირდაპირს გზას ამცდარია, ის მხატვრობას ვერ ქმნის რადგან როგორც ზევით ვთქვი, მხატვრული პრინციპების საშუალებით მხატვარი, ბუნებას უნდა უახლოვდებოდეს, და არა ბუნების საშუალებით პრინციპს. სწორედ ამ გარემოებამ შექმნა ის არანორმალური მოვლენა მხატვრობაში რომელიც ევროპაში დამყარებულ „ფუტურიზმის“ შემდეგ გვხვდება. ის მხატვრული მოპოვება, რომელიც ბრაკმა და პიკასსომ მხატვრობას შესძინეს მკვიდრ საფუძვლად ჩაედვა „ფუტურიზმს“. მაგრამ ისინი კი ვინც პიკასსო-ბრაკის პრინციპებს „აღმავდნენ“ მხატვრობის დაბრკოლების როლს თამაშობდნენ, ისინი ბუნების შეგნებას კი არ ცდილობდნენ პიკასსო—ბრაკის პრინციპების საშუალებით, არამედ სხვა და სხვა პრინციპების გამოგონებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. განსაკუთრებით ამ არანორმალურმა მდგომარეობამ თავი იჩინა რუსეთში. პიკასსო-ბრაკის პრინციპების გაუგებრობას ის მოჰყვა, რომ შეიქმნა თითქმის იმდენი მხატვრული მიმართულება, სხვა და სხვა „იზმებით“ დაბოლოვებული, რამდენიც მხატვარია. ყოველ მხატვარს თავისი მიმართულება აღმოაჩნდა. (ამ გარემოებას სხვა მიზეზებიც აქვს, მაგრამ აქ ადგილი არ არის ამის განმარტებას შევუდგეთ) რასაკვირველია, მხატვრები ჩვენშიც, როგორც რუსეთის „პროვინციაში“ მყოფნი, არ გადურჩნენ ამ მოვლენას. ტფილისელი „ფუტურისტები“ სწორედ ამ შემცდარ გზას ადგიან; მხატვრობის მიზნად რომელიმე მიმართულების განმტკიცება აქვთ დასახული; ბუნება კი უკუგდებულია, ამ მხატვრებს, როგორც სჩანს გავლენა ჰქონია ვლ. გუდიაშვილის შემოქმედებაზე. მისი სურათი „გოლოვინის პროსპექტი“ დამახასიათებელია ამ ზემო აღნიშნულ გავლენისათვის; ამ სურათში ბუნება კი არა სჩანს, არამედ ის, რომ მხატვარი ცდილობდა თავისი ნაწარმოები დაემსგავსებია ამ რიგზე დახატულ უცხო სურათებს. მე ზემოთ შევეცადე ამეხსნა, რომ ეს შემცდარი გზა არის. ამ გვარადვე შესრულებულ კიდევ რამდენიმე სურათი; „მერანი“ „გიორგი სააკაძე“, „შოთა რუსთაველი“, „ბარათაშვილი“, „მ. გ—შვილი“ და სხვა. ზოგიერთ ამ უკანასკნელ სურათში სჩანს, რომ მხატვარი მთლად არ არის გატაცებული სურათის გარეგნული ფორმით, არამედ აქცევს ყურადღებას მხატვრულ ფორმას, გრძნობს სურათის კომპოზიციას, ებრძვის ფერადებს, მაგრამ ყველა ეს მხოლოდ დიდი დაკვირვების შემდეგ მოსჩანს, საჭიროა მხატვრული ფორმის შეგნებას და დამუშავებას უფრო მეტი ყურადღება მიექცეს.

სურათების მეორე რიგს შეადგენს მხატვრის დანარჩენი ნაწარმოები. აქ მხატვარი სწორ გზას ადგია. მხატვრობის მონაპოვარნი უკვე მიზნად არ არის ქცეული, არამედ მხატვარი ცდილობს დაუახლოვდეს ბუნებას და გადმოგვცეს ის თავისი შეგნებული საშუალებით. ამ რიგის საუკეთესო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს „ლხინი ედემის ბაღში“. კომპოზიცია და ფერადები კარგად არის გარჩეული. დაცული არის ფერადების და მოხაზულობის ერთმანეთში შეხამება. მოძრაობაც სადად სჩანს. საჭიროა ამ სურათს მხატვარმა ყურადღება მიაქციოს. კარგ შთაბეჭდილებას ახდენს აგრეთვე წყლის ფერადებით ნახატი „სპარსელი ქალი“, „დები“ და „გზა დაბნეული“.

რთული საკითხი არის დასმული გასარჩევად შემდეგ სურათებში: „ტფილისის პოემა“, „პირიმზისა“, „მე-12 საუკუნეში“. რთული თემა რთულ შესრულებასაც მოითხოვს. როგორც სჩანს ეს სურათები მხოლოდ პირველი ცდაა „სურათის“ ხატვისა, როგორც ასეთი, დიდი ყურადღების მისაქცევია. კარგს შთაბეჭდილებას ახდენს ფერადების შეხამება. კარგია რომ მხატვარი ფერადებს მკაცრად ეპყრობა ცდილობს ფერადების თვისებები გაიგოს, ეძებს მათ ძალას. მხოლოდ ამ ზემო აღნიშნულ სურათებში სუსტობს ფორმა. ფორმას კი დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული მხატვრობაში. როგორც სჩანს ჯერ-ჯერობით მხატვარს საშუალება არ ჰქონია გაეცნობოდა ამ საკითხს, თუ რას მიაღწია მხატვრობამ ფორმის შეგნებაში, და თუ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება ექნა მიქცეული, მაშინ მხატვრის ეს პირველი ცდა ამ სურათებით კარგ ნაყოფს მოიტანს,

საზოგადოდ ფერადების შეგნებაში მხატვარს უნარი ემჩნევა. ზოგიერთ ნაწარმოებში ხმარობს წითელ ფერადს, როგორც დამატებითი ფერს. ეს სწორი გზა უნდა იყოს. როდესაც მხატვარი კარგად შეიგნებს ამ ფერადის მნიშვნელობას, როგორც დამატებითი ფერისას, შემდეგში იგი შესძლებს მისი განსაკუთრებული თვისებების შეგნებას. ამ ფერადის ხმარებაში ძლიერ ფრთხილად უნდა იყვეს მხატვარი, რადგან მისი სიძლიერე ძნელი გასაზომია. ყვითელ ფერსაც მხატვრის ნაწარმოებში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, დაკვირვებით ეპყრობა მას, და კარგად არის შეხამებული სხვა დამატებით ფერადებთან.

მხატვრის ნახატები, რომელთაც გამოფენაზე ვხედავთ, შეიძლება ისევე ორ ნაწილად დავყოთ, როგორც ეს სურათების შესახებ აღვნიშნეთ. ამ მოსაზრებით მხატვრისათვის ამ სურათებს აქვს მნიშვნელობა, რომელიც ბუნების შეგნებას გადმოგვცემს. ამ ნახატებში მხატვარი ეჩვენება ბუნების დაკვირვებში, კარგად გრძნობს ფორმას [illegible]“ მოსჩანს. საჭიროა მხატვარმა ეხლა თვით მოხაზულობის თვისებებს მიაქციოს ყურადღება, ჩაუკვირდეს თუ რაში გამოიხატება მისი სიძლიერე, და ეს ფორმის შეგნებას გაუადვილებს.

ის რაც უკვე ვლ. გუდიაშვილს შეგნებული აქვს, ის ძიება და მისწრაფებანი, რომელნიც მის ნაწარმოებში სჩანს, გვაფიქრებინებს, რომ მხატვარს აქვს ნიჭი და უნარი წინ მსვლელობისათვის, და ვუსურვებ წარმატებას.

დავით კაკაბაძე.

## ზოგი რამ

ჩვენი ხალხის განვითარებაში მეცხრამეტე საუკუნე ისე გავიდა, რომ მის პოლიტიკურ ეროვნულ აღზრდას ყურადღებას ნაკლებად აქცევდნენ. მართალია ჩვენი ახალი ლიტერატურა, ეკონომიური მატერიალიზმის გაბატონებამდე, იძლეოდა მასალას ხალხის აღსაზრდელად იმ მხრით, ჩვენ რომ გვაინტერესებს, მაგრამ პოლიტიკურ ეროვნული იდეის ხალხში გავრცელებას მოწყობილი პროპაგანდა სჭიროდა, ჩვენს ნასწავლ-კაცობას კი ჯერ ხალხში მოღვაწეობის შნო არ ჰქონდა, ხოლო როცა სოციალიზმის ქადაგებას და გავრცელებას შეუდგა, სოციალიზმის ეროვნული მხარე აღარავის მოაგონდა, რადგანაც სოციალიზმი ესმოდათ, როგორც საინტერნაციონალო, ანუ საერთაშორისო მოძღვრება და მისი მოღვაწეობის ასპარეზს არა თუ არ ავიწროებდნენ, პირიქით სცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა, უფრო ვრცელი ყოფილიყო.

რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა ვიდრე საბოლოოდ დამარცხდებოდა, რუსეთის სოციალისტები სპარსეთის ასპარეზსაც ეტანებოდნენ სოციალიზმის პროპაგანდისთვის, რაკი ჩრდილოეთი სპარსეთი რუსეთის გავლენის სფეროში იყო და მის დასაპყრობად ათასნაირი ქსელი ჰქონდათ გაბმული რუსის იმპერიალისტებს. ამ მხრით ქართველმა სოციალისტებმა განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატებმა, რომელნიც უფრო ახლობელი მეზობლები იყვნენ, სპარსეთის რევოლიუციის გაღრმავებაში თავიანთი წვლილიც კი შეიტანეს. მახსოვს რუსული გაზეთის „ხლოფ“ ერთი კორესპონდენცია, სადაც მოყვანილი იყო თუ, რა შეხედულობის იყო სპარსელი ხალხი ქართველ რევოლუციონერებზე. იმათ თვალში ქართველი რევოლიუციონერები ნამდვილი ჯალათები იყვნენ, ისეთი ჯადო ისოდნენ თურმე, რომ ბომბისტებად ვირებსაც კი სწვრთიდნენ.

სოციალ-ფედერალისტების სოციალიზმი, რა საკვირველია, ეროვნული იყო, მაგრამ რადგანაც სოციალდემოკრატია იმავ დროს შეუდარებლად უფრო მრავალ რიცხოვანი იყო, სოციალ ფედერალისტების პროპაგანდის ნაყოფი ნაკლები იყო, ზოგჯერ კი მათ მოღვაწეობას ხელოვნურადაც აფერხებდნენ ზოგიერთი ხულიგანები, რომელთაც თავი მოჰქონდათ სოციალ-დემოკრატიის პარტიის წევრებად. უკანასკნელ დროს, როგორც ვიცით, სოციალიზმისა და რევოლიუციის გამარჯვების საქმე საქართველოს პოზიციაზე მიდგა, რადგანაც პოლიტიკურმა გარემოებამ გამოიწვია მისი საჭიროება და სწორედ ამ საქართველოს პოზიციაზე სოციალიზმი შეიქმნა ეროვნული და საქართველოს დამოუკიდებლობაც გამოაცხადებინა, რომ მისმა დემოკრატიამ შეძლებოს დაგვარად გაამარჯვებინოს სოციალიზმსაც და რევოლიუციასაც.

ამ ფაქტით ქართველი ერის პოლიტიკურ ეროვნული იდეის შეგნება თანდათან ძლიერი გახდება მხოლოდ შემდეგისათვის, ამ ჟამად კი ხალხი, განსაკუთრებით მიყრუებულ კუთხეებში, სადაც ჯერ კიდევ სიბნელე ჰსუფევს, ადვილად გასაბრიყვებელ ელემენტს წარმოადგენს ჩვენი მტრების რუსის, ოსის და სომხის შოვინისტებისთვის, რომელნიც ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის მოსასპობად აშკარად მოქმედებენ, დარწმუნებულნი, რომ ქართველი დემოკრატიის გამარჯვება სოციალიზმისა და რევოლუციის საქმეში მათი შოვინიზმისთვის სიკვდილი იქნება. ეს პოლიტიკური ფლიდები, საქართველოს ბედის არამკითხე ჰირისუფლები, რომელთაც ვერ მოუხდენიათ დასაღუპად გამზადებულს

---

ამბობს ფრიდრიხ ჰერცი—განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სწორედ აგრარულ საკითხის გამოკვლევისათვის, ვინაიდან არც ერთი წარმოების დარგი ისე არ არის გარეშე ბუნებასთან დაკავშირებული, ხოლო არც ერთ დარგზე ისე არ აღბეჭდილა ხალხის ისტორიული ცხოვრება, როგორც სოფლის მეურნეობაზე. ამნაირად შევცდებით თუ აგრარულ საკითხზე ვილაპარაკეთ, როგორც ერთიან საკითხზე“.[9] მარტო ჰერცი როდი იქცევა ასე. აგრარულ საკითხს ეროვნულ ეკონომიკის ჩარჩოში აქცევს კონშტედტიც რომელიც ეროვნულ პრინციპს და ეროვნულ აგრარულ პოლიტიკის შემეცნებას საზოგადოდ აღიარებულ შემეცნებად სთვლის. „უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში—ამბობს კონშტედტი—ძალიან დაწინაურდა მეცნიერული პოლიტიკური ეკონომია. აბსტრაქტულ დებულებებით აშენებულ მეცნიერებიდან ის გადაიქცა კონკრეტულ დაკვირვებათა მეცნიერებად. ეხლა აღარ ლაპარაკობენ გლეხობაზე საზოგადოდ, არამედ იწვლიან და სჭვრეტენ აწმყოს და მომავალს გერმანულ გლეხის, ფრანგის გლეხებისას. ეხლა აღარ ლაპარაკობენ საუკეთესო საერთო სამეურნეო წარმოებაზე, არამედ ხაზს უსვამენ მეურნეობათა სხვაობას“.[9*] შემდეგში ამ პრინციპს კონშტედტი კიდევ უფრო აფართოვებს და სოციალიზმზედაც აღარ ლაპარაკობს, როგორც საყოველთაო, უნივერსალურ სწავლაზე (იხ. გვ. 83). ედ. ბერნშტეინი, რომელმაც სიამოვნებით დასწერა ჰერცის თხზულებისათვის წინასიტყვაობა ეროვნულ კაპიტალიზმის იდეოლოგიას იზიარებს და კაპიტალიზმზე ფსიქოლოგიურ მოვლენების გავლენასაც აღიარებს, იგივე ჰერცი ასახელებს შემდეგ სარწმუნოების, ადათ ჩვეულების და ხასიათის გავლენას. ჩვეულებისა და ცრუმორწმუნეობის ძალას ჯერ ადამ სმიტიც აღნიშნავდა მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში, რომელმაც პირველად დაწვრილებით შეისწავლა სამრეწველო კაპიტალიზმის პირვანდელი სახე. „ძველი ეგვიპტელები ცრუმორწმუნოების გამო ერიდებოდნენ ზღვას—ამბობს სმიტი— ხოლო ძველ ინდოელების სარწმუნოება თავის მიმდევრებს ნებას არ აძლევდა წყალზე ცეცხლის გაჩენას და მაშასადამე საჭმელის გაკეთებას, რაცა შეუძლებლად ხდიდა ზღვით მოგზაურობას. ამის გამო ინდოელები და ეგვიპტელები ყოველთვის იყვნენ სხვა ქვეყნების დამოკიდებულებაში, რომელნიც ზღვაოსნობას მისდევდნენ“.[10] ამ ფაქტორების გარდა სმიტი ასახელებს ცუდ მართველობის გავლენას და მდებარეობას. პორტუგალელთა შესახებ ადამ სმიტი სწერს: „ცრუმორწმუნეობისა და ცუდი მართველობის გამო პორტუგალელთა კოლონიებს აფრიკის ნაპირებზე—კონგო, ანგოლა, ხოლო გოა აღმოსავლეთ ინდოეთში რამდენადმე წააგავენ ამერიკის კოლონიებს... კეთილ იმედის კონცხი, იმიტომ, რომ ყოველი ხომალდი იყო მისი სტუმარი დიდად სარგებლობდა ასეთის მდებარეობით და კეთილმდგომარეობაში აყენებდა მცხოვრებთ“.[11] უფრო დაწვრილებით მდებარეობის საკითხი შეისწავლა რატცელმა და მეჩნიკოვმა, რომლებმაც ამ ფაქტორების გავლენა სოციოლოგიურ კანონამდე აიყვანეს. კ. მარქსი ძალიან კარგად იცნობდა სმიტს და ასეთ მეცნიერთ, რომელნიც ხსენებულ ფაქტორებს ითვალისწინებდნენ, ამ ცნობიდან მარქსს არ გამოუტანია ლოღიკური დასკვნები და მსხვერპლი შეიქნა თამამ აბსტრაქტულ დებულებებისა, თორემ შეუძლებელი იყო თვით მარქსი ასცდენოდა ამ ფაქტორების გავლენას და სრულიად დაევიწყებია მათი მნიშვნელობა. კაპიტალიზმის რეგულიატორიც არის და დამახასიათებელიც, მაგრამ თვით მარქსის სიტყვით—„შრომის ინტენსივობა ყოველ ქვეყანაში იცვლება, ერთში დიდია, მეორეში მცირე“.[12] თხზულების მეორე ალაგას კ. მარქსი ქვეყნის თავისებურობას უფრო მარტივად ასახელებს და ამბობს: „კაპიტალისტურ საზოგადოებაში ზედმეტი შრომის რაოდენობა იცვლება შრომის ბუნებრივი პირობებით და მათ შორის მიწის ნაყოფიერებით. რამდენადაც ნაკლებია ბუნებრივი მოთხოვნილებანი, რომელნიც დაკმაყოფილებას მოითხოვენ და რამდენადაც დიდია მიწის ნაყოფიერობა, ხოლო ჰავა ზომიერია, იმდენად ნაკლები შრომა უნდა დაიხარჯოს მწარმოებლის ენერგიის აღდგენისათვის და მაშასადამე იმდენადვე მეტი დარჩება ზედმეტი ნაყოფი სხვასთან შედარებით“.[13] თან და თან აშკარა ხდება კაპიტალიზმზე სხვა და სხვა არა ხელოვნურ ფაქტორების ზე გავლენა. ეს უკვე ტრუიზმი ხდება და ჩვენც შეგვიძლიან წერტილი დავსვათ. ფრიდრიხ ლისტიც გვიმტკიცებს: „როგორც საერთაშორისო (საერთო) ისე ეროვნული (კერძო) განაწილება შრომისა უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია ჰავისა და ბუნების პირობათაგან. შეუძლებელია ყოველ ქვეყანაში მოვიყვანოთ ჩაი ისე, როგორც მოუყვართ ჩინეთში, ბამბას — ლუიზიანაში და სხვ.[14] ქვეყნის ეკონომიურ კულტურაზე — მაშასადამე — დიდი გავლენა აქვს ისტორიულ ტრადიციას, ჩვეულებას, ხასიათს, მდებარეობას. რუსულ აგრარულ საკითხის მცოდნეთაგანი ვიქტორ ჩერნოვი ჩვენ მიერ ნახსენებ ფაქტორების მოგონებით იწყებს აგრარულ წყობილების და მოძრაობის შესწავლას. „რუსეთში—ამბობს ჩერნოვი—კიდევ მეტად, ვიდრე სხვაგან კაპიტალიზმს თავისებური, სპეციალური სახე აქვს; რუსეთში დამკვიდრდა კაპიტალისტური პარაზიტიზმი, რომელმაც ხალხი ისე გაფუქვნა, რომ წარმოების რეორგანიზაცია წვრილიდან მსხვილი არ შესრულებულა, რომ დამყარებულიყო უახლესი ტექნოლოგია“.[15] უკანასკნელად მხოლოდ ოგანოვსკის აღვნუსხავთ, რომელიც საზრდოობის წესს, მცხოვრებთა რაოდენობას და მოსახლეობის მდგომარეობას გავლენიან ფაქტორად სახავს ეკონომიურ ცხოვრებაში. „ჩინეთის მკვიდრი რომ რუსეთში გადმოიყვანო—ამბობს ოგანოვსკი ის უეჭველად შეეცდება მოიყვანოს „გაოლიანეს“ და „ჩუმიზს“ ხოლო რუსი მანჯურიაში ხელს მიყობს ქვავის თესვას, უკრაინელი ყირგიზთა მინდვრებში დასთესავს „ბაშტანს“ და ალუბლის ბაღს გაშართავს“.[16] რაც შეეხება სხვა ფაქტორებს, ოგანოვსკი აღიარებს: „ჩვენ ვიცით, რომ კელტებს ურჩევნიათ „ხუტორებით“ დასახლება ხოლო, ძველ გერმანელებს სოფლებად და სხ.[17] საჭმლის ხასიათი დამოკიდებულია მოდგმის ჩვეულებაზე, რაიცა გავლენას ახდენს ხვნათესვის პირობაზე, ცხოველისა და მცენარის კულტურაზე. ინგლისელებს, რომელნიც ოსტ ინდოეთში ცხოვრობენ დღესაც ვერ მოუშლიათ ხორცით საზრდოობა, თუმცა ეს საჭმელი დიდ ვნებას აძლევს[18] კარლ როდბერტუს-იაგელოვი არისტოტელის აზრს იგონებს ძველი ცხოვრების საილუსტრაციოთ, რომელიც აღნიშნავდა, რომ ათინელთა სამეურნეო ცხოვრება თავისებური ხასიათის არის[19] თავისებურობა სჩანდა ყოველთვის, ყოველგან და თავისებურ მეურნეობის და ცხოვრების პრინციპი მარადიული, უნივერსალური პრინციპია. ზომბარტი „თანამედროვე კაპიტალიზმში“ გერმანულ კაპიტალიზმის წარმოშობას და პროცესს, ფორმებს სულ სხვა გვარად ხსნის ვიდრე კ. მარქსი ინგლისის კაპიტალიზმსა. საქართველოში ჩვენ ვხედავთ სულ სხვა სამეურნეო შოლმას ვიდრე გურგენის ზღვის მიდამოებში, იმერეთში სხვა განწყობილებას ვიდრე ამერეთში.

ყველასათვის აშკარაა, რომ ეროვნული პრინციპი მიაღებია ყოველ დარგში და განსაკუთრებით ევროპაშიაც, ეს პრინციპი უნივერსალური პრინციპია და აბსოლუტურად სავსებით შეეძლიან გვეინაწილოთ კისტიაკოვსკის მშვენიერი დახასიათება: „არ არის ერთნაირი და ერთი და იგივე თავისუფლება პიროვნების, უფლებრივ წყობილება, კონსტიტუციონურ სახელმწიფო, ეს არის ერთნაირი კაპიტალიზმი და სამეურნეო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ერთნაირი ყველა ქვეყნისათვის[19])

აქ ჩვენ შეგვიძლიან შევჩერდეთ და „ტრუიზმს“ დავემყაროთ. ყოველ ქვეყანაში ეკონომიური ცხოვრება თავისებურ ხასიათს იღებს, რაიც საზოგადოებრივ ურთიერთობის ყოველ შემთხვევაში გამოიხატება,

რაც ეროვნული პრინციპი შევიტანეთ ქართულს მწერლობაში ჩვენ წინააღმდეგობას გვიწევდა ქართველი დასელები და გვეუბნებოდნენ, რომ ეს პრინციპი ჩვენ გადმოვიტანეთ რუსეთიდან, სადაც თითქოს თავისებურობის იდეოლოგია მტკიცე იყო სლავიანოფილების ქადაგებით. მკითხველი ხედავს, რომ ეს შენიშვნა უსამართლოა. ეროვნულ პრინციპის იდეა ევროპიული და ამ იდეაა სოციალ-დემოკრატიაც იზიარებს. მაგრამ ეხლა გადავიდეთ სხვა საკითხზე, მარტო სხვა და სხვა ქვეყნის.

განსხვავებათა აღნუსხვა არ გვაკმაყოფილებს. ამას შემდეგ ჩვენ უნდა დავინახოთ კიდევ ახალი განსხვავება, სხვაობა არა მარტო ქვეყნებს შორის, არამედ ეკონომიურ კულტურის განსხვავება ერთი ქვეყნის ქალაქში და სოფელში, აგრარულ კაპიტალიზმის თავისებურობა, ფორმები ამ თავისებურობისა—ან რა ეპყრობა სოფლის ცხოვრების შემსწავლელთა ყურადღებას.

თედო ღლონტი

(შემდეგი იქნება).

9) იხ. ფრ. ჰერცი—„აგრარული საკითხები“, გვ. 27.

9*) იხ. კონშტედტი, „აგრარული საკითხი გერმანულ სოციალ დემოკრატიაში“, გვ. 64.

10) იხ. ად. სმიტი „ხალხთა სიმდიდრის ბუნებათა და მიზეზთა გამოკვლევა“, ტომი II, გვ. 601.

11) იხ. ად. სმიტი, იქვე გვ. 529.

12) იხ. კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I. გვ. 397.

13) იხ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I. გვ. 361.

14) იხ. ფრ. „პოლიტიკურ ეკონომიის ეროვნული სისტემა“ გვ. 211.

15) იხ. ჩერნოვი „კაპიტალისტურ და აგრარულ ევოლიუციის ტიპები“ გვ. 156, „რუს. სიმდ.“ 1900 წ.

16) იხ. ოგანოვსკი „აგრარულ მოძრაობის წინასიტყვაობა“ ტ. 1, გვ. 223,224, 176 და სხ.

17) იქვე, გვ. 177.

18) იქვე, გვ. 224

19) კ. როდბერტუსი „სოციალური საკითხის გაშუქების გამო“ გვ. 135

19) ჩერნოვი „მიწა და უფლება“ გვ 16

თავიანთი სამშობლოსთვის, აქ საქართველოში გამომდგარან და მის საცოდავ და უბირ ხალხს ამხედრებენ წინააღმდეგ მშობლიურის მთავრობისა, რომელიც მისთვის, მისი ინტერესების დასაცავად, მისი მეურნეობის გასაუმჯობესებლად თავგამოდებულია სიტყვითაც და საქმითაც. აგონებენ, ვითომც მისი სამშობლოს თავისუფლება მისი დამღუპველია და მხოლოდ რუსეთია მათი გაჭირვების ტალკვესი. საწყალი ხალხიც უჯერის, მაგრამ დამარცხებისაგან გონს მოსული უმჯ ლავნებს მთავრობას, გაგვაბრიყვესო პოლონელ, ფინლანდიელ გლეხობას განა ვინმე მოანატრებინებს მოსკოვის უღელსა და ვერავინ, რადგანაც იქ ხალხის პოლიტიკურ ეროვნულ აღზრდას თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ, საქართველოში კი რუსობის დროს თავს არავინ იწუხებდა, ხალხისათვის აეხსნა, რა იყო ეროვნება, რა იყო ერის პოლიტიკური უფლება.

* *

ბ. მ. იასტრებოვი ივლისის 3 „კავკაზსკოე სლოვოში“ დაუფიქრებია საქართველოში რუსული სკოლის ბედს, რუსული განათლების აღორძინების საკითხსა და მოუწოდებს რუსის პედაგოგებს და რუსული ორიენტაციის მშობლებს სრულიად დარწმუნებული, რომ რუსული სკოლის გარშემო თავს მოიყრის ყველა გვარტომობის გაურჩევლად, რომ საქმე დაუყონებლივ გაჩაღდეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არასოდეს არ ეტყვის უარს რუსთა ეროვნულ უმცირესობას, რომ რუსული სკოლა დაიარსონ, მაგრამ ხსენებული სკოლა რომ რუსული ორიენტაციის ბუდედ გადაიქცეს და ზედმეტად კიდევ არა რუსთა შორისაც იმოქმედოს რუსული ორიენტაციის გასავრცელებლად, ხელის შეშლა იქმნება რესპუბლიკის სასწავლო უწყების საქმიანობისთვის, რომლის საფუძვლადაც უნდა იყვეს სკოლის ერთობა და მისი ხელმძღვანელობა. ამას ვერ მოითმენს ვერც ხელმწიფების სათავეში მდგომი სოციალ-დემოკრატია და მათი წინამძღოლი ნ. ჟორდანია, რომელზედაც ბ. იასტრებოვი აიმედებს თავის აუდიტორიას. მაშინ, როცა მათი პარტიის ორგანოს „ერთობის“ პირით არა ერთხელ სმენია ჩვენ საზოგადოებას, რომ რუსულ ორიენტაციას იგი სამუდამოდ ჩამოშორდა და ფიქრადაც არ უნდა გაივლოს გულში, რომ ოდესმე კიდევ შეუერთდეს რუსეთსა ვერ მოითმენენ კიდევ იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მის ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში რუსული ან სხვა რომელისამე ორიენტაციის ქადაგების შეწყნარება ღალატი იქმნება საქართველოს სახელმწიფოებრიობისა რომელსაც თავისი ორიენტაცია აქვს. ქართული ენა, როგორც საგანი სწავლისა, და ქართული ორიენტაცია სავალდებულო უნდა იყვეს ყოველი სკოლისთვის, რომელიც დაარსებულ იქმნება ეროვნული უმცირესობისთვის. საქართველოს რესპუბლიკა ვერ გაჰხდება ძველი რეჟიმის ოსმალეთი, სადაც ქრისტიანი ეროვნულ უმცირესობის სკოლის მოწაფეებს არ ავალებდნენ არც სახელმწიფოებრივი ოსმალური ენის ცოდნას, არც სამხედრო სამსახურისა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში უცხო ტომელი მოქალაქე განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა მოვალე უნდა იყვეს, რომ მისმა შვილმა იცოდეს სახელმწიფოებრივი ქართული ენაც თავის სამშობლო ენასთან ერთად, აგრეთვე თავის დროზე სახელმწიფოს ემსახუროს, როგორც ჯარის კაცი და ქართველთან ერთად დაიცვას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა თავხედის მტრისაგან.

ასევე უნდა მოექცეს რესპუბლიკის სასწავლო უწყება სომეხთ ეროვნული უმცირესობის სკოლასაც, რადგანაც მათ ეროვნულ საბჭოს დაშნაკცუთიუნის პარტიამ ისეთი დირექტივები აძლია სომხური ორიენტაციის გასავრცელებლად, რომ იასტრებოვი მის ოცნებასაც კი მოერიდება.

* *

ტფილისის ყოფილ თავად-აზნაურთა საზოგადოებამ რომელიც ეხმარებოდა სწავლაში გაჭირვებულ ახალგაზრდობას, ამა ივლისის 2 კრებაზე გადასწყვიტა უძრავ-მოძრავი ქონება თავისი სკოლებით გადასცეს სახელმწიფოს. საზოგადოების უძრავი ქონება უზარმაზარი შენობა წყნეთის ქუჩაზე სადაც მოთავსებულია საზოგადოების ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები, ქართული უნივერსიტეტი და სამი დიდი მუზეუმი წიგნთ-საცავებით, აგრეთვე არა ნაკლებ უზარმაზარი შენობა ქალაქის გამგეობის გვერდით მდებარე.

როგორც იმ კრებაზე გამოირკვა, ეროვნული საბჭოს სფეროებში მზად არიან თურმე, მიიღონ შემოწირულობა, მაგრამ საზოგადოების გამგე კომიტეტს სთხოვენ, ტფილისის გამგეობის გვერდით რომ არის, ის შენობა გაჰყიდოს და რამდენადაც შეიძლება, საზოგადოების ვალები გადასწყვიტოს რადგანაც როგორც ის, აგრეთვე მეორე შენობა საადგილ-მამულო ბანკშია დაგირავებული.

ხსენებული შენობა, როგორც მდებარე შუაგულ ქალაქში და ქალაქის გამგეობის გვერდით, ფასდაუდებელ საგანძურს წარმოადგენს ყოველი პატრონისათვის, რომელსაც უნარი აქვს მისი სარგებლობისა და ვერ წარმოგვიდგენია, რად უნდა გაიყიდოს, თუ გინდ ქართველი კაცის ხელშიაც გადავიდეს დავიჯეროთ, ის ქართველი, რომელიც იყიდის, უფრო გამოიყენებს, ვიდრე მთელი სახელმწიფო? ან რა მოსატანია აქ ეროვნული საბჭოს სფეროები? გადაწყდა, სახელმწიფოს გადაეცეს, მაშასადმე უნდა მოხსენდეს საქმე არა რესპუბლიკის საბჭოს სფეროებს, არამედ თვით საბჭოს, პარლამენტსა, რომელიც მიიღებს, ან არ მიიღებს შემოწირულებას. თუ მიიღებს კიდევ, მევალე-კრედიტორი შორს არ ეყოლება. თვითონვე ბრძანდება და კარგადაც მორიგდება დებიტორთან.—მოვალესთან, რომელიც აგრეთვე თვითონ ბრძანდება. მაგრამ საქართველოს პარლამენტი თუ გაითვალისწინებს, დარწმუნდება, რომ შემოწირულ შენობას ქალაქის გამგეობის გვერდით მდებარეს არა თუ ეკონომიური, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაცა აქვს. არა თუ გაყიდვა ურჩიოს, არამედ მადლობითაც მიიღებს. ის სააღგილ-მამულო ბანკი, სადაც ორივე შენობაა დაგირავებული, სახელმწიფოს ეკუთვნის და რა გაჰხდა ასეთი ის შემოწირულება, რომ მისი მიღება სახელმწიფოს ფინანსებისთვის ხელსაყრელი არ იქმნება მაშინ როცა ძველი რეჟიმის დაწესებულებათა ლიკვიდაციას არ მოერიდა, ნუ თუ ვერ უნდა მოახერხოს პატარა საქმის გაწმენდა.

სახელმწიფომ უსათუოდ უნდა მიიღოს ხსენებული შენობა. თუ თვითონ არ შეეძლება მისი სარგებლობა, ქალაქის გამგეობა მისი საუკეთესო იჯარადარი იქმნება.

პეტრე მირიანაშვილი.

## ქართული ენა და თერმინოლოგია

უკანასკნელი 117 წლის განმავლობაში ცუდი ბედი ეწვია ქართველ ერს. მთელი მისი ცხოვრება მოდუნდა, შემოქმედებითი მუშაობა გაიყინა და ქართველ ერს საშუალება მოესპო კულტურული დაწინაურებისა.

რუსეთის ბოროტი პოლიტიკის წყალობით შეირყვნა ენაც და ნაცვლად ბუნებრივ განვითარებისა თავის ეროვნულ სულის კალაპოტში, მან მიიღო მახინჯი სახე.

რუსეთის მთავრობამ განდევნა სკოლებიდან ქართული ენა აკრძალა სახელმწიფო და სამოქალაქო დაწესებულებებში და ეკლესიებშიც კი შეზღუდა, ფრთები შეკვეცა...

ჩვენ, სჯობს სინამდვილეს პირდაპირ თვალში შევხედოთ და გამოვტყდეთ,—საკმარისი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეთ ამ ბოროტ პოლიტიკას და მან თვისი საშინელი ნაყოფი გამოიღო: ქართული ენის მაგიერ უცხო ენა გაბატონდა.

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა სწავლა-განათლებას რუსულ ენაზე ღებულობდა, ეწაფებოდა რუსულ მეცნიერებას და ლიტერატურას, რუსის ხალხის ცხოვრებას, უფრო კარგად სცნობდა ვიდრე მშობელი ერისას, და ამ ნაირად ფქიხოლოგიურად მას უკავშირდებოდა და ეთვისებოდა.

კიდევ მეტი, ქართველმა საზოგადოებამ თვით ფიქრი და აზროვნებაც კი რუსულ ენაზე დაიწყო, და ამან გადაგვარების, დაცემის და სიმახინჯის გზაზე დაგვაყენა...

ენის მნიშვნელობის შესახებ კი ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს დადებული უშინსკის სიტყვები: „ენაშია შთაბერილი სული მთელი ხალხისა და მთელი მისი დედა-ქვეყნისა... ხალხის ენის ნათელსა და გამჭვირვალე სიღრმეში მოსჩანს არა მარტო დედაქვეყნის ბუნება, არამედ მთელი ისტორია ხალხის სულიერ ცხოვრებისა...

ის არა თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია,—ის არის თვით სიცოცხლე. ვიდრე ენა ცოცხალია და ხალხი მაზე ლაპარაკობს, ხალხიც ცოცხალია... წაართვით ხალხს ყოველივე და მას შეუძლია ყოველივე დაიბრუნოს, მაგრამ წაართვით მას ენა და ის ვერასოდეს ვერ შესძლებს მის შექმნას..

აქედან აშკარაა, თუ როგორ უნდა უფრთხილდებოდეთ ენას და მის სიწმინდეს; აქედან აშკარაა, თუ რა დიდი დანაშაულობა მიგვიძღვის ჩვენ ამ მხრით...

შეცდომის და დანაშაულის ნაყოფი უკვე ვიგემეთ: ამდენხანს ცხოვრებაში ნაციონალიზაციის გატარება ვერ შევძელით და კიდევ მეტი—რუსობა იმდენად შეგვიჩვევია და შეგვიგუებია ჩვენს გადაგვარებასთან და სიმახინჯესთან, რომ ვერ გამორკვეულა, თუ როგორ ბედავს თავისუფალი საქართველო ნაციონალიზაციაზე ლაპარაკს და ფიქრს. ამას, რასაკვირველია, არსად—თუნდაც ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებში, მაგ. პოლონეთში ან ფინლანდიაში, ადგილი არ ჰქონებია, ვინაიდან იქ ყოველთვის კარგად ესმოდათ ენის უაღრესი მნიშვნელობა, ყოველთვის მას დარაჯად უდგნენ, როგორც უძვირფასეს საუნჯეს, და არავის მისი გადათელვის უფლებას არ აძლევდნენ... მაგრამ რაც იყო, იყო!

დღეს კი, როდესაც ქართველი ერი კულტურულ საკაცობრიო ოჯახის სწორუფლებიანი წევრი გახდა, როდესაც თვის ბედ-იღბლის გამომჭედი თვითვე შეიქმნა,—ყველას გვმართებს დიდი სიყოჩაღე და საქმიანობა, რომ ეხლა მაინც აღდგენილ იქმნეს ქართული ენა, რომ ქართველმა ერმა ამიერიდან მაინც დაიწყოს ქართულად ფიქრი და აზროვნება. ამიერიდან ქართველი ერის გონებრივი წარმატება, ჩვენი ქვეყნის ყოველივე დარგის განვითარება ეროვნულ ნიადაგზე უნდა მოხდეს; და ყოველივე ეს კი მოითხოვს მეცნიერების და ტეხნიკის ყველა დარგის თერმინოლოგია იქმნას შემუშავებული.

თერმინოლოგიის უქონლობის გამო ყველა თავისებურად ხმარობს სიტყვებსა და თერმინებს, თერმინოლოგიის უქონლობის მიზეზით ხშირად სხვა და სხვა მცნება ერთნაირი ტერმინით არის გამოხატული და, პირიქით, ერთი რომელიმე მცნება ორი და სამი სხვა და სხვა თერმინით. თუ—ანარქია და საზოგადოდ არევ-დარევა დასაგმობია ყოველდღიურ ცხოვრებაში, მით უფრო დასაგმობი და შეუწყნარებელია ის მეცნიერულ და სპეციალურ საკითხებში, სადაც აზრის და ფორმულის გადმოცემაში გარკვეულობს, სიმარტივეს და სიცხადეს უაღრესი მნიშვნელობა აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დიდი სოლიდარობაა საჭირო, რისთვისაც უნდა მოხდეს შეთანხმება, ყოველი საგნის თერმინების ნათლად გამორკვევა და ერთხელ მიღებულის დაკანონება და დაცვა. ერთი სიტყვით, საჭიროა დამყარდეს მტკიცე დისციპლინა, რის შემდეგ მერყეობას, არევ-დარევას ადგილი არ უნდა ექნეს“.

ტეხნიკური და მასთან დაკავშირებულ დარგთა თერმინოლოგიის შემუშავება. აგრეთვე საჭირო სახელმძღვანელოების შედგენა უნდა იკისროს ქართულმა ტეხნიკურმა საზოგადოებამ, როგორც ამ საკითხებში ყველაზე კომპეტენტურმა დაწესებულებამ.

ამ საზოგადოებასთან არსებული თერმინოლოგიის სექცია უკვე შეუდგა მუშაობას და ცდილობს შეიტანოს თავისი წვლილი ქიმიურ, მექანიკურ, მეტალურგიულ, სამთა-ქადნო, საამშენებლო, ელექტრო-ტეხნიკურ, ჰიდროტეხნიკურ და სამანქანო დარგში, რომ ერთი და იგივე საქმე რამდენიმე დაწესებულებამ ან კერძო პირმა არ გააკეთოს, საჭიროა ერთმანეთს გავაცნოთ, თუ რა გვაქვს გაკეთებული, რას ვაკეთებთ ამ ჟამად და რის გაკეთებას ვფიქრობთ ამ ახლო მომავალში. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ ვისაც რაიმე მასალა მოეპოვება ან ნამუშევარი აქვს შემოდასახელებულ დარგებში გაგვაცნონ ისინი ან გადმოგვცენ გადასათვალიერებლად.

ჩვენ განზრახვა გვაქვს საჭიროების დროს მივმართოთ ქართული ენის ღრმა მცოდნე პირთ და სრული დარწმუნებული ვართ, რომ მათ დახმარება არ გაუძნელდებათ.

ჩვენ განზრახული გვაქვს სექციაში განხილული და მიღებული თერმინები კვირაში ერთხელ ყველა ქართულ გაზეთში მოვათავსოთ, რათა მკითხველ საზოგადოებას შეძლება მივსცეთ შესწორება და შენიშვნა გაგვიკეთოს.

ერთი სიტყვით, ყველასაგან მოველით დახმარებას, ვინაიდან ვიმედოვნებთ, რომ ვაკეთებთ არა კერძო არამედ საზოგადოებრივი ხასიათის საშვილიშვილო საქმეს...

ვისაც შეუძლია რაიმე წვლილი შეიტანოს ჩვენს მუშაობაში (ტეხნიკურ საზოგადოების წევრიც რომ არ იყოს); სწამს რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე იქნას გატარებული ცხოვრებაში დაწესებულებათა ნაციონალიზაცია; ესმის, რომ თერმინოლოგიის შემუშავებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და თავის ზნეობრივ მოვალეობად სთვლის ხელი შეგვიწყოს,—სექციის სახელით ვთხოვ მობრძანდეს კრებაზე ორშაბათს, ივლისის 22-ს ფრეილინის ქუჩაზე, № 11 საღამოს 8 საათზე.

სამუშაო ერთობ ბევრია, და საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, სისი ბედ-იღბალი და ბრწყინვალე მომავილი,—მოითხოვს ყველა მის ერთგულ შვილიდან დაუღალავ მუშაობას და უზომო საქმიანობას.

ინჟ. გ. კაკაბაძე.

## ქართული ფულის ფონდი

სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში მოიტანეს შემოწირულება კიდევ შემდეგმა პირებმა: ბესარიონ მალაქიას ძე გეგუჩაძემ ერთი პატარა ოქროს ბეჭედი, რუსული ვერცხლის ფული ღირებული 40 კაპ. რუსული სპილენძის $^1/_2$ კაპ. თათრული ვერცხლის ფული 1 და ერთიც თათრული უბრალო პატარა ფული; ხვეროთმოძღვარმა სვიმონ გრიგოლის ძე კლდიაშვილმა ვერცხლის სურა ორი, ჰქა ვერცხლის თავსახურიანი ერთი, ვერცხლის საჭე ერთი, ვერცხლის ჰქა ერთი, ერთი სპილენძის დიდი მედალი—სულ წონით 8 გირვანქა და 9 ძისხალი; პოლკოვნიკმა გერასიმე ქავთარაძემ: ახსა მეორე ხარ. და ვლადიმერი მეორე ხარ. მარიამ იასონის ასულმა იაქაშვილმა სამი გირვანქა რუსული სპილენძის ფული; გიორგი ალექსანდრეს ძე მარტიაშვილმა: რუსული ვერცხლის ფული 9 მან. და 35 კ. და ერთი ვერცხლის მედალი; გიორგი ხუციშვილმა: სპარსული ვერცხლის ფული; პოდპორ. იოსებ კაჭახიძემ სტანისლავა მესამე ხარ. ერთი; მამუკა ივ. ორბელიანისაგან: ორი ვერცხლის მედალი, სამი სპილენძის მედლები, მათგან ორი სულ პატარა, სამი პატარა ხატები—მედალიონი ვერცხლის წონით 1 მისხ. და 42 ნაწ. ბეითალმა კოტე მიხეილის ძე ფარეიშვილმა სტან. მესამე ხარ. ერთი.

P. Z. ვასწორებთ უნებლიეთ შეცდომას, დიმიტრი მიხეილის ძე ბახტაძის მიერ აუარებელ სხვა და სხვა ნივთები თვით მისგანვეა შემოწირული და არა მისი ქალის მიერ შეგროვილი როგორც შეცდომით გვქონდა გამოცხადებული.

გამომცემელი
ხალხის ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფებს დღის 12—2 საათ.
ყირიმხანოვის ქ. № 6.

კბილის ექიმი
კონსტანტინე არდაზიანი
განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

კბილის ექიმის
ვ. ი. ჭიჭინაძის
კაბინეტი
ავადმყოფებს ღებულობენ კბილის ექიმები: ვ. ი. ჭიჭინაძე, ვ. დ. მირიანაშვილი და ს. ი. ჩარკვიანი 9—2 და 5—7-მდე.
მიხეილის პროსპ. 78. 591

კერძო
მიხეილის სამკურნალო
მუდმივი ლოგინებით.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

მედიცინის დოქტორი
მიუნხენის უნივერსიტეტისა
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ.
შინაგანი, ბავშვებისა, საშვილოსნოს და სასქესო სნეულებანი.
ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმბოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილით 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
ყოფილი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
ი. ი. ზერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

თვალის სამკურნალო
მუდმივი საწოლით
ექიმ დონხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად), მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
კოჯორში გაემგზავრა და აქ ავადმყოფების მიღება 1 აგვისტომდე შეჩერებულია. 1020

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საშვილოსნო და სასქესო ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი მეტროვგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 1002

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1158

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხახვის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მ-ახკოვის ქ. № 11. 426

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09 1082

ექიმი
ქ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
გ. ი. მაშნევი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. ავახაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. ავეტიხიანი—9—11 ს. საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1019

ივლისის 25-თვის დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
იჯარით არის გასაცემი სადგურგლო სამუშაო კახეთის რკ. გზის სადგურ წნორის-წყალზე, სადაც დასამთავრებელია საბარგო ეზოს აშენება.
განცხადება მსურველებმა უნდა შემოიტანონ მეორე უბნის უფროსის კანტორაში, გურჯაანის სადგურზე, ან კახეთის რკ. გზ. ტეხნიკურ განყოფილებაში (ელისაბედის ქ. № 73), ივლისის 25 ს, 2 საათამდე.
იქვე შეიძლება განცხადებისათვის ბლანკების მიღება და საჭირო განმარტებებიც. 1241

სტამბა
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
სამი სრულდება სუფთად და თავის დროზე
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96